შპს "სქაი ლოჯისთიქს"

ქ. თბილისი, შატბერაშვილის მე-2 შეს. მე-2 ჩიხი, კომერციული ფართი 2 / 2, Shatberashvili str. 2nd floor lane, Tbilisi, Georgia. ID: 404503998
ტელ/Tell: +995 (571) 00 91 87 / E-mail: office@skylogllc.com. **SKY LOGISTICS LLC**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი წოწკოლაურს

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი კომპანია ბოლო ერთი თვეა, რაც აქტიურად არის ჩართული ჩინეთიდან საქართველოში კოვიდ-19-თან დაკავშირებული მასალების ტრანსპორტირების განხორციელებაში და ამ ხნის განმავლობაში, ჩინეთში ამოქმედებული ახალი საბაჟო რეგულაციების მიუხედავად, შეძლო 5 ჩარტერული რეისის შესრულება ქვეყნისთვის საჭირო სამედიცინო მასალების გადმოსაზიდად.

როგორც მოგეხსენებათ დღეს, 27 მაისს დაგეგმილი გვქონდა მორიგი საჰაერო რეისის შესრულება, რომლის მეშვეობითაც თბილისში, სხვა ტვირთთან ერთად უნდა განხორციელებულიყო თქვენი უწყებისთვის მოსაწოდებლი, შპს „ვიქენდი“-ს ტვირთის ტრანსპორტირება.

ტვირთი უკვე დაბაჟებულია ჩინეთში და გამზადებულია თვითმფრინავში დასატვირთად.

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ჩვენს კონტრაქტორ ავიაკომპანიას შეექმნა პრობლემა ფრენის განხორციელების ნებართვასთან დაკავშირებით, მათ ვერ შეძლეს თვითმფრინავის შეთანხმებული გრაფიკით მოწოდება. მათგან მიღებული ბოლო ინფორმაციის თანხმად, რეისის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ 1 ივნისს საღამოს. შესაბამისად, ტვირთი თბილისში ჩამოვა 2 ივნისს დღის მეორე ნახევარში.

პარალელურად, თავის დაზღვევის მიზნით, ჩვენ უკვე დავუკავშირდით ქართულ ავიაკომპანია „მაი ვეი“-ს, რომელიც მზადაა მოგვაწოდოს თავისი ბორტი. ასევე უკვე დავუკავშირდით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ელჩს ჩინეთის რესპუბლიკაში, რათა მათ დახმარება გაგვიწიონ „მაი ვეი“-სთვის ქსიანის აეროპორტში რეისის განხორციელების ნებართვის მიღებაში, რასაც დაჭირდება 3 სამუშაო დღე.

უმორჩილესად გთხოვთ, რომ გაითვალისწინოთ შექმნილი გარემოება და თქვენს კონტრაქტორ კომპანიას - შპს „ვიქენდ“-ს გაუგრძელოთ მათი ვალდებულების შესრულების ვადა 2020 წლის 3 ივნისამდე.

წინასწარ გიხდით მადლობას,

პატივისცემით,
შპს „სქაი ლოჯისთიქს“-ის დირექტორი,

გიორგი გოდაბრელიძე